ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №452024

ნომერი: AR195111

თარიღი : 28.11.2012

გაცემის თარიღი : 18.12.2012

გაცნობის თარიღი : 19.12.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , მე-12 კმ , (ნაკვეთი 14/585) / ქალაქი თბილისი , აღმაშენებლის ხეივანი , მუხადგვერდის გადასახ. მიმდ / ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , მე-12 კმ. / ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , მე-12 კმ , ნაკვ.14/606 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ორგანიზაცია:
- შპს "არტსტუდიო პროექტი" კოდი: 204489393

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.10.2012 წ. №409294 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 11/28/2012წ. Aღ195111 განცხადებით მომართა ქეთევან ფანცულაიამ და თანაგანმცხადებელმა – გია ალიხანაშვილმა. განმცხადებლებმა მოითხოვეს 29.10.2012 წ. №409294 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ: დამკვეთად შპს "სენა ავტო სერვისის" ნაცვლად შპს "სენა მოტორსის" მითითება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 29.10.12 წ. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ აღმაშენებლის ხეივანში, მუხადგვერდის მიმდებარედ №409294 ბრძანებით შეთანხმდა საოფისე შენობისა და ავტოსალონის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. სამშენებლო სამუშაოების წარმოების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 30 ოქტომბრიდან 2014 წლის 30 აპრილამდე. ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში დამკვეთად დაფიქსირდა მაშინდელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრე – შპს „სენა ავტო სერვისი“ და მისი დირექტორი – გია ალიხანაშვილი. დღეისათვის, სამშენებლო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე არის შპს „სენა მოტორსი“. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდულ პირთა რეესტრიდან ამონაწერის თანახმად (განცხადების ნომერი №36530, განცხადების რეგისტრაცია №10029650, მომზადების თარიღი: 04.03.10 წ), შპს „სენა მოტორსის“ ხელმძრვანელი არის გია ალიხანაშვილი.
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.
ვინაიდან, დღეისათვის სამშენებლო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე არის შპს „სენა მოტორსი“, რომელსაც გააჩნია საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია შეიტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ აქტში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, თანახმად,
ვბრძანებ:
1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.10.12 წლის №409294 ბრძანებაში, კერძოდ: დამკვეთ ორგანიზაციად დაფიქსირდეს შპს „სენა მოტორსი“;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.10.12 წლის №409294 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარატავს ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში